

პანკისის ხეობის რისკის რუკებისა და პრევენციულ ღონისძიებათა შემუშავება

აბსტრაქტი

საქართველოსთვის დამახასიათებელ საშიშ ბუნებრივ მოვლენებს (12) შორის ერთ-ერთი წამყვანი როლი წყალდიდობებს ენიჭება, რომლებსაც დიდი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი მოაქვთ. ამ კონტექსტში გამონაკლისს არც კახეთის რეგიონი, კერძოდ ახმეტის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული სოფლები წარმოადგენენ. ახმეტისათვის დამახასიათებელ სტიქიურ მოვლენებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი მიწისძვრებს, ღვარცოფებს, მეწყერებს წყალდიდობებსა და წყალმოვარდნებს უკავია. 2010 წლის 17 ივნისს მომხდარი წყალმოვარდნების შედეგების შეფასების საფუძველზე და აგვისტოში პანკისის ხეობაში, გაეროს წარმომადგენლების ვიზიტის დროს, გამოვლინდა აქ მდებარე ხევების წყალმოვარდნის რისკის ქვეშ არსებული ზონებისა და რისკის რუკების შედგენის საჭიროება.

ამასთან დაკავშირებით გაეროს განვითარების პროგრამასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პანკისის ხეობაში განვახორციელეთ მდინარე ალაზნის აუზის კონკრეტულ ხევებში წყალმოვარდნის რისკების შეფასება და შესაბამისი პრევენციული რეკომენდაციების შემუშავება, რის შედეგადაც შეგროვდა აღნიშნული არეალის ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნისთვის საჭირო მონაცემები. უკანასკნელის საფუძველზე მოხდება რისკის მართვის პრევენციული მიდგომის ხელშეწყობა რეგიონში.

პროექტის მიზანი იყო ახმეტის რაიონის მუნიციპალიტეტში, ალაზნის არხის ორივე მხარეს (9,5 კმ სიგრძის მონაკვეთზე) ხევების წყალმოვარდნების რისკის ქვეშ მყოფი სოფლების შეფასება (მიბახევი-ბირკიანი ჯოყოლო, დუისი), ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის იდენტიფიკაცია და ადექვატური პრევენციული ღონისძიებების შემუშავება. ზემოხსენებული სოფლები კვლევისათვის შეირჩა ა.წ. 17 ივნისს მომხდარი წყალმოვარდნის გამო, რასაც მოჰყვა ზარალი (დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, გზები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, განადგურდა შინაური ცხოველი), რომელმაც მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ჰიდრომეტ. სადგური ხეობაში გაუქმებულია დიდი ხნის წინ.

პრევენციული სამუშაოების განხორციელების მიზნით ჩატარებული მეტეოროლოგიური- (ტემპერატურული რეჟიმი, ქარები, ნალექები და ა.შ.) ჰიდროლოგიური- (ჰიდროქსელი, ხევების მორფომეტრია, ჰიდრაულიკური მახასიათებლები და ხევების სხვადასხვა უზრუნველყოფის ხარჯების კვეთების ფართობების გაანგარიშება), კარტოგრაფიული (ობიექტების აგეგმვა და რუკაზე დატანა) კვლევების საფუძველზე შემუშავდა განსახორციელებელ საინჟინრო ღონისძიებებისა და რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის (რაოდენობის, ასაკობრივი და გენდერული ჯგუფების აღნუსხვა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, მიყენებული ზარალის გაანგარიშება და ა.შ.) კატასტროფის რისკების შემცირების რეკომენდაციები. გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიით შექმნილ რაიონის რელიეფის ციფრულ მოდელზე შესრულდა სხვადასხვა უზრუნველყოფების წყლის მაქსიმალური ხარჯების მოდელირება და შესაძლო კატასტროფული წყალმოვარდნების რისკების ზონირება, რის საფუძველზეც შედგენილ იქნა რისკების რუკები.